# ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებების დეკლარაცია

Stop TB Partnership

TB PEOPLE

# ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა **უფლებების** დეკლარაცია

*პრეამბულა:*

## ჩვენ, ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა გლობალური საზოგადოება

**ვაცნობიერებთ რა,** რომ ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებების დაცვა და წახალისება არის სამართლებრივი, ეთიკური და მორალური იმპერატივი, ის ასევე არის უმნიშვნელოვანესი ეპიდემიის საპასუხო რეაგირების ეფექტიანობისთვის და დაზარალებული პირებისა და საზოგადოებისთვის ტანჯვის შემცირებისთვის;

**ვაღიარებთ რა,** რომ ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანების უფლებები ირღვეოდა და კვლავაც ირღვევა, მათ შორის, ტუბერკულოზზე რეაგირების კუთხითაც და აღნიშნული დარღვევები აფერხებს ტუბერკულოზის აღმოფხვრას, ამძიმებს ამ დაავადებით გამოწვეულ ტანჯვას და საძირკველს აცლის იმ ნდობას, რაც ტუბერკულოზით დაზარალებულ ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი ჯადაცვის სისტემების მიმართ;

**ხაზს ვუსვამთ რა,** რომ ტუბერკულოზით დაზარალებულ ადამიანებს აქვთ რა პირადი გამოცდილება და ცოდნა, სწორი და კარგი პრაქტიკით, ჩართულნი უნდა იყვნენ ტუბერკულოზის პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგის, გადახედვისა და შეფასების ყველა ეტაპზე გლობალურ, რეგიონულ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე;

**გვახსოვს რა,** რომ მხოლოდ სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვითი მიდგომა არ არის საკმარისი ტუბერკულოზთან საბრძოლველად და რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, ადამიანებზე ორიენტირებული, ყოვლისმომცველი მიდგომა ტუბერკულოზის პრევენციის, ტესტირების, მკურნალობის, ზრუნვისა და მხარდაჭერის მიმართ, როგორც საყოველთაო ჯანდაცვის განუყოფელი კომპონენტი არის არსებითი ტუბერკულოზის დასამთავრებლად; და

**ვამტკიცებთ რა,** რომ საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების სამართალი შეიცავს და წარმოადგენს ამ დეკლარაციის შინაარს, რომელიც თავის მხრივ ემსახურება სამართლის მოთხოვნების გამოყენებას და სახელმწიფოების სამართლებრიი ვალდებულებების განსაზრას ტუბერკულოზის ეპიდემიის კონტექსტში. ასეთ საერთაშორისო ინსტრუმენტებს შორისაა:

- *ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია;*
- *ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი;*
- *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი;*
- *კონვენცია ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;*

- *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;*
- *კონცენცია ბავშვთა უფლებების შესახებ;*
- *კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ;*
- *კონვენცია შრომითი მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ;*
- *კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ;*
- *კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ;*

და რეგიონულ დონეზე:

- *ადამიანის და ხალხთა უფლებების დაცვის აფრიკული ქარტია;*
- *ბავშვთა უფლებების და კეთილდღეობის აფრიკული ქარტია;*
- *ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ;*
- *არაბული ქარტია ადამიანის უფლებების შესახებ;*
- *ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ; და*
- *ევროპის სოციალური ქარტია.*

ვითვალისწინებთ რა, სხვებთან ერთად, მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიზნებს, ტუბერკულოზთან ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მაღალი დონის შეხვედრის პოლიტიკურ დეკლარაციას, პარტნიორობის «შეაჩერე ტუბერკულოზი» გლობალურს გეგმას დაავადების დასამარცხებლად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეზოლუციებს, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს ბიზნესსა და ადამიანის უფლებებზე, გაეროს დეკლარაციას მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ, გაეროს ჯანმრთელობის უფლების საკითხებში სპეციალური მომხსენებლის, და გაეროს სხვა სპეციალური მომხსენებლების ანგარიშებს და პროკლამაციებს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ტუბერკოლოზის დამარცხების სტრატეგიას, რომელიც მხარდაჭერილია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ, რომელიც ადგენს ადმიანის უფლებების დაცვას და წახალისებას, ეთიკასა და თანასწორობას, ასევე, ძლიერ თანამშრომლობას სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან, როგორც ტუბერკულოზთან ბრძოლისთვის უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ პრინციპს;

## შევქმენით წინამდებარე დეკლარაცია ტუბერკულოზით დაზარალებულთა უფლებების შესახებ

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი I. **განსაზღვრებები**

წინამდებარე დეკლარაცია იყენებს შემდეგ განსაზღვრებებს:

*ტუბერკულოზის* ჯანდაცვა აღნიშნავს ინტეგრირებულ ზრუნვას ყველა ყველაზე ეფექტიანი, მაღალი ხარისხის ჯანდაცვის საქონლითა და სერვისებით, რომლებიც დაკავშირებულია ტუბერკულოზის ინფექციისა და დაავადების, მათ შორის, ფილტვის, ფილტვგარეშე, წამლების მიმართ მგრძნობიარე და წამალრეზისტენტული ტუბერკულოზის პრევენციასთან, დიაგნოზირებასთან და მკურნალობასთან რაც შეიძლება ნაკლებად დამაზიანებელი გვერდითი მოვლენებით, მათ შორის არის (არ არის სრული ჩამონათვალი) დიაგნოსტირება, წამლები, კონსულტაციები და სხვა ფსიქოოციალური მხარდაჭერის სერვისები, ასევე, გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაცია და ზრუნვა ნაწილობრივი ან მუდმივი შეზღუდული შესაძლებლობისთვის, საჭიროების შემთხვევაში, თემზე დაფუძნებული ზრუნვა, პალიატიური და სიცოცხლის დამთავრებასთან დაკავშირებული ზრუნვა, მკურნალობისა და სხვა თერაპევტული ინტერვენეციების დროს გამოვლენილი გვერდითი მოვლენების მართვა და მონიტორინგი, მათ შორის, სასწრაფო დახმარების სერვისი. აღნიშნული განსაზღვრება მოიაზრებს ამ სერვისების მიღებას პატივისცემით, ღირსეულად და კულტურული თვალსაზრისით სენსიტიურად, არადისკრიმინაციული გზით, იძულებისა და სტიგმატიზაციის გარეშე, ინფექციის ან დაავადების სრული კურსის განმავლობაში. აღნიშნული სერვისები ასევე უნდა მოიცავდეს უნდა მოიცავდეს მთელ სასიცოცხლო ციკლს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ ზრუნვას.

*ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანი* აღნიშნავს ტუბერკულოზის დაავადების მქონე ან წარსულში ტუბერკულოზის დაავადების მქონე ნებისმიერ ადამიანს, ასევე, მათზე მზრუნველ ადამიანებს და ოჯახის წევრებს. აღნიშნული ტერმინი ასევე მოიცავს ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფებს და მოწყვლადი პოპულაციების წევრებს, როგორებიცაა, ბავშვები, ჯანდაცვის მუშაკები, მკვიდრი ხალხები, აივ ინფიცირებული ადამიანები, ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანები, სასჯელაღსრულების სისტემაში მცხოვრები ადამიანიები, მეშახტეები, მოძრავი და მიგრანტი მოსახლეობები, ქალები და ქალაქსა და სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობა.

*ტუბერკულოზი* აღნიშნავს ტუბერკულოზის დაავადების ყველა ფორმას, მათ შორის, ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზს, წამლის მიმართ მგრძნობიარე და ყველა ფორმის წამალრეზისტენტულ ტუბერკულოზს.

## თავი 2. ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებები

### მუხლი 2. **სიცოცხლის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს სიცოცლის თანდაყოლილი უფლება.

ეს მოიცავს უფლებას სასიცოცხლო ჯანდაცვის სერვისებს ტუბერკულოზისთვის.

### მუხლი 3. **ღირსების უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს უფლება, მოეპყრან პატივისცემით და ღირსეულად.

ეს მოიცავს იმას, რომ ადამიანს მოეპყრან როგორც თავისუფალი არჩევანის მქონე ცალკეულ ინდივიდს დისკრიმინაციის, სტიგმის, სტერეოტიპების ან იძულების გარეშე, რადგან ის თავისთავად არის ფასეული - და არა მხოლოდ, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ნაწილი, მათ შორის, ჯანმრთელობის ინსტიტუციებისა და სასჯელაღსრულების სისტემის პირობებში.

### მუხლი 4. **ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის უფლება (ჯანმრთელობის უფლება)**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე.

აღნიშნული მოიცავს ხელმისაწვდომ, მისაღებ და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის სერვისს ტუბერკულოზისთვის, რომელიც არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ბავშვების მიმართ მეგობრულ, ფიქსირებული დოზირების კომბინაციებს და ანალიზებსა და პრევენციულ თერაპიებს სამიზნე და მოწყვლადი პოპულაციების წარმომადგენლებისთვის სავარაუდო ტუბერკულოზის დადგომის მომენტიდან, მკურნალობის დასრულებამდე და მუდმივი ზრუნვის საჭიროების მქონე ადამიანებისთვის, აღნიშულის შემდეგაც. აღნიშნული სერვისი უნდა იყოს მიწოდებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ჯანდაცვის მუშაკის მიერ, თემის დონეზე, იძულების, სტიგმატიზაციისა და ასაკის, წარმოშობის, კანის ფერის, კულტურის, მოქალაქეობრივი სტატუსის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური წარმომავლობის, ფინანსური სტატუსის, გენდერული იდენტობის, ენის, სამართლებრივი სტატუსის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, სხვა დაავადების არსებობის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, რასის, რელგიის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა ნებისმიერ სტატუსის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული ასევე ვრცელდება სახელმწიფოს მიერ დაკავებულ ან სხვაგვარად თავისუფლება აღკვეთილ ადამიანებზე, ტუბერკულოზის სამიზნე პოპულაციაზე სპეციალური აქცენტით.

## მუხლი 5. **წამებისგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისგან თავისუფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს წამებისგან და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისგან ან დასჯისგან თავისუფლების უფლება.

აღნიშული მოიცავს უფლებას, დისკრიმინაციისგან თავისუფალ, სახელმწიფოს ხარჯზე არსებულ ჯანდაცვაზე, სახელმწიფოს მიერ დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლება აღკვეთილი პირებისთვის. აღნიშნული ასსევე მოიცავს თავისუფლების აღკვეთის ღირსეულ, უსაფრთხო და ჰიგიენურ პირობებს, რომელიც არ იქნება გადატვირთული, რომელსაც ექნება შესაბამისი ვენტილაცია (განიავების საშუალება) და სადაც უზრუნველყოფილი იქნება ნოყიერი საკვები. აღნიშნული უფლება ასევე შეეხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებებში ჯანდაცვის მუშაკების მიერ ტუბერკულოზით დაავდებული ადამიანებისადმი მოპყრობას, რომელიც აღწევს წამების ან სხვაგვარი სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის სტადიას.

## მუხლი 6. **თანასწორობა და დისკრიმინაციისგან თავისუფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებული ყველა ადამიანი არის თანასწორი კანონის წინაშე და გააჩნია უფლება, დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს კანონის დაცვით და იყოს თავისუფალი ნებისმიერი ნიშნით, როგორებიცაა ასაკი, წარმოშობა, კანის ფერი, კულტურა, მოქალაქეობრივი სტატუსი, გენდერული იდენტობა, ენა, სამართლებრივი სტატუსი, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, სხვა დაავადების არსებობა, ეროვნება ან სოციალური წარმომავლობა, რასა, რელიგიური მიკუთვნებულობა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია,  და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან.

აღნიშნული ასევე მოიცავს ტუბერკულოოზით დაზარალებული ყველა ადამიანის უფლებას, ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, სოციალური დაცვის და საჯარო ბენეფიტებზე/სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ბავშვის გაჩენისა და დედობის, განათლების, დასაქმების, ჯანდაცვის, საცხოვრისის ქონის და საოჯახო უფლებების სფეროში იყოს თავისუფალი დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან.

## მუხლი 7. **ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეულებლობის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს თავისუფლებისა და ხელშეულბლობის უფლება. ტუბერკულოზით დაზარალებულ არც ერთ ადამიანს შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ტუბერკულოზით დაზარალებული ყველა პირს, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, უნდა მოეპყრან ჰუმანურად და მათი ღირსების პატივისცემით.

ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანის არანებაყოფლობითი დაკავება, ჰოსპიტალიზაცია ან იზოლაცია არის თავისუფლების აღკვეთა და

ადამიანის ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. შესაბამისად, იძულებითი ჰოსპიტალიზაცია ან იზოლაცია დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკანასკნელი საშუალება, ვიწროდ განმარტებულ გარემოებებში, ყველაზე მოკლე პერიოდით, რაც შესაძლებელია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის *ტუბერკულოზის სტრატეგიის იმპლემენტაციის ეთიკის სახელმძღვანელოს* მე-15 თავის შესაბამისად, როდესაც, ზუსტი სამედიცინო ჩვენებით:

- ცნობილია, რომ ადამიანი არის გადამდები, უარს აცხადებს ეფექტური მკურნალობის ჩატარებაზე და დაცვის ყველა გონივრული საშუალება უკვე ნაცადი და წარუმატებელია;
  ან
- ცნობილია, რომ ადამიანი არის გადამდები, მან თანხმობა გნაცხადა ამბულატორიულ მკურნალობაზე, თუმცა არ აქვს შესაძლებლობა, განახორციელოს ინფექციის კონტროლი სახლის პირობებში და უარს აცხადებს სტაციონარულ მომსახურებაზე;
  ან
- ადამიანი დიდი ალბათობით, არის გადამდები (ლაბორატორიულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით), თუმცა უარს აცხადებს მისი ინფექციური სტატუსის შეფასებაზე, როდესაც ყველა ღონისძიება გატარებულია, რათა მოხდეს ადამიანთან მუშაობა მათ საჭიროებებზე მორგებული მკურნალობის გეგმის შესამუშავებლად.

მეტიც, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს *სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შეზღუდვებისა და გადახვევების დებულებების შესახებ სირაკუზას პრინციპების* თანახმად, ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა თავისუფლების აღკვეთა მათი იძულებითი დაკავების, ჰოსპიტალიზაციის ან იზოლაციის გზით გამართლებულია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

1. აღნიშნული შესაბამისობაშია თავისუფლების აღკვეთის დროს მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან;
2. დაფუძნებულია ლეგიტიმურ მიზანზე, რომელიც არის საზოგადოების ან მისი წევრების ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი რისკების საპასუხო და არის მისი პროპორციული;
3. მკაცრად არის განპირობებული საგანგებო შემთხვევებით;
4. მიზნის მიღწევისთვის ყველაზე შეზღუდული საშუალებაა;
   ასევე
5. არ არის თვითნებური, ძალადობრივი ან დისკრიმინაციული.

იმ შემთხვევაში, თუ ეს არის გამართლებული, ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანის დაკავება, ჰოსპიტალიზაცია ან იზოლაცია უნდა მოხდეს სამედიცინო თვალსაზრისით შესაბამის გარემოში, სადაც არსებობს ინფექციის კონტროლის ეფექტიანი შესაძლებლობები. ასევე, ღონისძიება უნდა გატარდეს უმაკლესი შესაძლებელი დროით, მხოლოდ იქამდე, სადამდეც ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებია სახეზე; ადამიანს უნდა გაეწიოს სამედიცინო ზრუნვა ნებაყოფლობით; ყველა სხვა უფლება და თავისუფლება უნდა იყოს დაცული; უნდა არსებობდეს გასაჩივრებისა და სამართლიანი მოსმენის შესაძლებლობა და ის უნდა იყოს ხელმისაწვდომი; სახელმწიფომ უნდა დააკმაყოფილოს

ადამიანის სულ მცირე, ბაზისური საჭიროებები, მათ შორის, შესაბამისი საკვები, წყალი და  სხვა.

## მუხლი 8. **გადაადგილების თავისუფლება**

ქვეყნის ტეროტირიაზე კანონიერად მყოფ ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება.

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი, მათ შორის მისი მოქალაქეობის ქვეყანა:

აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების, საჯარო წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის და შესაბამისობაშია ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციებთან, მათ შორის, წინამდებარე დეკლარაციის მე-7 მუხლში აღნიშნულ თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლებასთან.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ტუბერკულოზი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლაზე ან დაბრუნებაზე უარის თქმის, ასევე, დეპორტაციის ან ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანის საფუძველი. აღნიშნული ასევე ნიშნავს, რომ  ტუბერკულოზი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც გადაადგილების ან ქვეყნის შიგნით მოგზაურობის აკრძალვის საფუძველი, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც წინამდებარე დეკლარაციის მე-7 მუხლში არის მოყვანილი და ვიწროდ განმარტებული და შესაბამისობაშია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის *ტუბერკულოზის სტრატეგიის იმპლემენტაციის ეთიკის სახელმძღვალელოსთან.*

## მუხლი 9. **პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს უფლება, არ დაექვემდებაროს პირად, ოჯახურ ცხოვრებაში ან კორესპონდენციაში თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან პატივისა და რეპუტაციის უკანონო შელახვას. ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს უფლება, იყოს კანონით დაცული აღნიშული სახის ჩარევისგან.

აღნიშული ასევე მოიცავს ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანების უფლებას, არ გაასაჯაროვონ მათი ჯანმრთელობის შესახებ სტატუსი და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პირადი ინფორმაცია და მონაცემები. აღნიშნული ასევე მოიცავს ქორწინების, ოჯახის შექმნის, ბავშვების ყოლისა და მათზე ზრუნვის უფლებას.

## მუხლი 10. **კონფიდენციალობის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს აქვს მისი ჯანმრთელობის შესახებ პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის უფლება.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანის პერსონალური ჯანმრთელობის ინფორმაციის ან მონაცემების, მათ შორის, დასაქმების ადგილის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, გაზიარება ან გადაცემა ელექტრონულად ან სხვა გზით დასაშვებია მხოლოდ აღნიშნული ადამიანის ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ემსახურება მის ან საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვას. საზოგადოების ჯანდაცვის, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ან ჯანდაცვის სერვისის მიწოდების პროგრამების მეთვალყურეობის ფარგლებში, ასეთი ინფორმაციის გაზიარება ან გადაცემა შესაძლებელია მოხდეს მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე მხოლოდ ანონიმურობის წესის დაცვით, პირის იდენტიფიცირებისა და მისი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გარეშე.

კონფიდენციალობის უფლება ასევე დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს კონტაქტების მიდევნების (კონტაქტების გამოკვლევის) და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში სხვაგვარი ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების დროს. აღნიშნული მოიცავს (მაგრამ არ არის შეზღუდული) ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანებისთვის ინფიცირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე წვდომის უზრუნველყოფას, გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებას იმის შესახებ, თუ როგორ და როდის მოხდეს კონტაქტებისთვის შესაძლო დაინფიცირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კვალიფიციურ ჯანდაცვის სერვისის გამცემზე და სოციალურ მუშაკზე წვდომის გარანტირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მხარდაჭერა და პასუხები იმ შეკითვებს, რომლებიც შესაძლოა გაჩნდეს პროცესის მიმდინარეობისას.

## მუხლი 11. **უფლება ინფორმაციის ქონაზე**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს აქვს უფლება იძიოს, მიიღოს და გააზიაროს ინფორმაცია.

აღნიშნული ნიშნავს, რომ ტუბერკულოზის ინფექციისა და დაავადების, მათ შორის, დაავადების სიმპტომების, ტუბერკულოზის სამედიცინო კვლევების და ჯანდაცვის ტექნოლოგიების განვითარების, პრევენციის, ტესტირებისა და მკურნალობის სერვისების, მათ შორის, მკურნალობის დროს შესაძლო გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს სრულად ხელმისაწვდომი და გასაგები. ინფორმაცია უნდა იყოს კარგი ხარისხის, ასაკის და გენდერის შესაბამისი, კულტურული თვალსაზრისით სენსიტირური და არატექნიკური, გასაგები გზით, ინფორმაციის მიმღები პირისთვის გასაგები ენით გაზიარებული. ეს ასევე ნიშნავს, რომ ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს, სულ მცირე, აქვს უფლება, რომ:

- მოითხოვოს და მიიღოს მისი სამედიცინო ჩანაწერების ოფიციალური ასლები;
- მიიღოს დროული, სწორი და გასაგები განმარტებები მისი ჯანმრთელობის სტატუსის (მდგომარეობის) და ტუბერკულოზის დაავადების ან ინფექციის შესახებ. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება ტუბერკულოზის რისკჯგუფებს და  მოწყვლად პოპულაციებს;
- ჰქონდეს წვდომა მოხალისეობრივ კონსულტაციაზე დიაგნოზირებიდან მკურნალობის დასრულებამდე პერიოდის ნებისმიერ დროს; და
- მიიღოს განმარტება მათთვის შეთავაზებული მკურნალობის, მათ შორის, პრევენციული თერაპიის, ისევე, როგორც მკურნალობის შესაძლო ალტერნატივების  ბენეფიტიტების, რისკების და ფინანსური დანაკარგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს სრული და მოიცავდეს მონაცემებს კონკრეტული გამოწერილი მედიკამენტების შესახებ, ისეთს, როგორიც არის მათი სახელი, დოზირება, პოტენციური გვერდითი მოვლენები და აღნიშნული გვერდითი მოვლენების პრევენცირებისა და შემცირების გზები, ასევე, შესაძლო გვერდითი ეფექტები, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას მისი სხვა მედიკამეტებთან, როგორებიც არის მაგალითად აივის ანტირეტროვირუსები ურთიერთქმედებით, როცა სხვა დაავადებები და კოინფექციებია სახეზე.

## მუხლი I2. **ინფორმირებული თანხმობის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველაპირს ინფორმირებული თანხმობის უფლება.

აღნიშნული ნიშნავს ადამიანის დამოუკიდებლობის, თვითგამორკვევის და ღირსების პატივისცემას ნებაყოფლობითი სერვისის მიღებისას. აღნიშნული მოიცავს ინფორმირებული თანხმობის უფლებას - ვერბალურს ან წერილობითს, კონკრეტული სიტუაციის მიხედვით - ყველა ფორმის ტესტირების, მკურნალობის და ტუბერკულოზთან დაკავშირებული კვლევის შემთხვევაში. ინფორმირებული თანხმობის მოპოვების დროს, ინფორმაცია მიღებული უნდა იყოს ასაკის და გენდერის შესაბამისად, კულტურული თვალსაზრისით სენსიტიურად, გადაცემული უნდა იყოს არატექნიკური და გასაგები გზით იმ ენაზე, რომელიც ესმის ინფორმაციის მიმღებ პირს. მშობლების ან კანონიერი მეურვეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ტუბერკულოზით დაზარალებული ბავშვების ტესტირების, მკურნალობის ან ტუბერკულოზთან დაკავშირებული კვლევის შესახებ, უნდა იყოს მიღებული ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, სწორ სამედიცინო მტკიცებულებაზე დაფუძნებით.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის *ტუბერკულოზის სტრატეგიის იმპლემენტაციის ეთიკის სახელმძღვანელოს* მე-15 მუხლის თანახმად, ინფორმირებული თანხმობის უფლება მოიცავს ტუბერკულოზის სამედიცინო სერვისზე უარის თქმის უფლებას. ეთიკის სახელმძღვანელოს თანახმად, ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანის იძულებითი მკურნალობა დაუშვებელია ნებისმიერი გარემოებების მიუხედავად არასდროს არის დაშვებული, რადგან, ის წარმოადგენს ფიზიკურ ხელშეუხებლობის  დარღვევას და ამან შესაძლოა ჯანდაცვის მუშაკები რისკის ქვეშ დააყენოს.

## მუხლი 13. **განათლების უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს აქვს განათლების უფლება.

აღნიშნული მოიცავს უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას და საშუალო და უმაღლეს, ასევე, პროფესიულ და ტექნიკურ განათლებაზე წვდომის უფლებას დისკრიმინაციის გარეშე მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. ტუბერკულოზით დაზარალებული ბავშვებს, როდესაც ისინი ინფიცირებულნი არიან და იმ პერიოდში, როდესაც ისინი გადიან მკურნალობას, უფლება აქვთ იქონიონ საპატიო გაცდენის შესაძლებლობა და სხვა საშუალებები, როგორებიც არის დისტანციური სწავლების უფლება და ონლაინ სწავლება, რომლებიც მისცემს მათ შესაძლებლობას, შეუფერხებლად განაგრძონ განათლების მიღება. იმ იშვიათი შემთხვევებისთვის, როდესაც ტუბერკულოზით დაზარალებულ ბავშვებს ესაჭიროებათ გრძელვადიანი/ხანგრძლივი ჰოსტიტალიზაცია, მათ აქვთ უფლება, მიიღონ დისტანციური განათლება მკურნალობის განმავლობაში.

## მუხლი 14. **მუშაობის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს მუშაობის უფლება და ტუბერკულოზით დაზარალებული არც ერთი ადამიანი არ უნდა იყოს მონობაში ან ყმობაში, ან ექვემდებარებოდეს იძულებით ან სავალდებულო შრომას.

აღნიშნული მოიცავს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებს, მათ შორის, ჯანდაცვის მუშაკებისთვის და ყველა სხვა ადამიანისთვის, ვინც ჯანდაცვის დაწესებულებაში მუშაობს, ასევე, მეშახტეებისთვის, შრომითი მიგრანტებისთვის და ტუბერკულოზის ინფექციის და დაავადების მომატებული რისკის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანისთვის. ის ასევე მოიცავს სამუშაოს თავისუფლად არჩევის ან სამუშაოზე თავისუფლად დათანხმების უფლებას, სამართლიან ანაზღაურებას და ხელფასს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის, ყველანაირი განსხვავების გარეშე, თანასწორი პირობებით და ანაზღაურებით ყველა გენდერის ადამიანისთვის.

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს სამუშაოს შესაბამისი პირობების უზრუნველყოფის უფლება, შვებულების და შესვენებების ჩათვლით, რომლებიც მას იგივე სამუშაო პოზიციის შენარჩუნების შესაძლებლობას მისცემს როგორც დიაგნოზის დასმის შემდეგ, ასევე როდესაც იგი არის გადამდები ან მკურნალობის პროცესში. თუ გრძელავდიანი ჰოსპიტალიზაცია ან ნაწილობრივი ან პერმანენტული შეზღუდული შესაძლებლობა შეუძლებელს ხდის ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანისთვის სამუშაო ადგილის შენარჩუნებას კანონით გათვლისწინებული შეზღუდვის ან შრომითი ხელშეკრულების პირობების გამო, მათ აქვთ სოციალური დაცვის უფლება ამ დეკლარაციის მე-18 მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 15. **ადეკვატური საკვების უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს აქვს უფლება ადეკვატურ საკვებზე და შიმშილისგან და არასწორი კვებისგან თავისუფლებაზე.

აღნიშნული მოიცავს ფიზიკური და ეკონომიკური წვდომის უფლებას საკვებზე, რომელიც არის საკმარისი, საკვებ ნივთიერებებს შეიცავს საკმარისად და არის უსაფრთხო, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობით ტუბერკულოზის ჯანდაცვის სერვისების მიღების პირობებში და ასევე, იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აღკვეთილი აქვთ თავისუფლება. ის ასევე შეიცავს კვებით მხარდაჭერას მკურნალობის დროს საჭიროების მიხედვით.

## მუხლი 16. **საცხოვრისის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს ადეკვტური საცხოვრისის უფლება.

აღნიშნული მოიცავს უფლებას როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე, ფიზიკური თვალსაზრისით მისაწვდომ და ცხოვრებად საცხოვრისზე მისაღებ ლოკაციაში, ისეთი უსაფრთხო პირობებით, რომელიც იძულებითი გასახლების, შევიწროვების და სხვა საფრთხეების წინააღმდეგ სამართლებრივი დაცვის გარანტია იქნება. აღნიშნული ასევე მოიცავს სერვისების, საქონლის, დაწესებულებების და ინფრასტრუქტურის, მათ შორის, ადეკვატური სანიტარიის და ვენტილაციის, გათბობის, განათების და ნაგვის გადაყრის მისაწვდომობას.

## მუხლი 17. **უფლება წყალზე და სანიტარიაზე**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს აქვს უფლება წყალზე და სანიტარიაზე.

აღნიშნული მოიცავს უსაფრთხო სასმელი წყლის და ადეკვატური სანიტარიის სერვისების მისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე, განსაკუთრებით, სოფლად, ადგილობრივ და განვითარებად ურბანულ ადგილებში, მათ შორის, არაფორმალურ ადგილებსა და უსახლკარო პოპულაციებში, ქალებისა და ბავშვების საჭიროების გათვალისწინებით.

## მუხლი 18. **სოციალური დაცვის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს უფლება სოციალურ დაცვაზე და სოციალურ დაზღვევაზე, მათ შორის, უმუშევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკოვნების ან  მათ კონტროლის მიღმა არსებული მიზეზით საარსებო საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში.

ეს ნიშნავს, რომ ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს წვდომა და მიიღოს ყველა სახის სოციალური უსაფრთხოება

დისკრიმინაციის გარეშე მაშინაც, როცა ისინი არ იღებენ ჯანდაცვის სერვისებს ტუბერკულოზისთვის ან არ არიან მკურნალობაზე დამყოლნი. აღნიშნული მოიცავს როგორც ბენეფიტს ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე სურსათ-სანოვაგით, რათა ადამიანი იყოს დაცული  ავადმყოფობით, შეზღუდული შესაძებლობით, დედობით, სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებით, უმუშევრობით, ასაკოვნებით ან ოჯახის წევრის სიკვდილით გამოწვეული შრომითი შემოსავლის დაკარგვისგან; ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობისგან; არასაკმარისი მხარდაჭერისგან ბავშვებსა და ასაკოვნებზე ზრუნვს თვალსაზრისით (იგულისხმება, როცა ასაკოვანი ოჯახის წევრების დამოკიდებულება ოჯახის სხვა წევრებზე) და სახვა საფრთხეებისგან.

ასევე, ყველა ადამიანს, ვისაც აქვს ტუბერკილოზის ინფექცია ან დაავადება მათი სამუშაოდან გამომდინარე, აქვს უფლება კომპენსაციაზე მათი სამედიცინო და სხვა ხარჯებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მათ პროფესიულ დაავადებასთან.

## მუხლი I9. **გამოხატვის თავისუფლება**

ტუბერკულოზით დაავადებულ ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლება.

აღნიშნული მოიცავს მოსაზრების ქონის უფლებას, ასევე, ტუბერკულოზის და მასთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციისა და ყველა სახის იდეის  ძიების, მიღებისა და ნებისმიერი გზით, მათ შორის, სოციალური მედიით გავრცელების უფლებას საჯარო უწყებების მხრიდან ჩარევისა და ანგარიშსწორების გარეშე.

## მუხლი 20. **შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება.

აღნიშნული მოიცავს ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა, მათ შორის, თავისუფლებააღკვეთილ მდგომარეობაში მყოფ ტუბერკულოზით დაზრალაბეულ პირთა უფლებების და ლეგიტიმური ინტერესების ხელშეწყობისთვის და დაცვისთვის, თემის წევრებისთვის და მათვე მიერ არასამთვრობო და სათემო ორგანიზაციების შექმნის, მათში გაწევრიანების და მათ საქმიანობაში მონაწილეობის უფლებას. აღნიშნული ასევე მოიცავს ტუბერკულოზის ირგვლივ არსებული საკითხების შესახებ მშვიდობიანი პროტესტის, ორგანიზებისა და შეკრების უფლებას.

აღნიშნული უფლების განხორციელება საჭიროებს სამათლებრივ და პოლიტიკურ გარემოს, რომელშიც ნებადართული და ხელშეწყობილია ტუნერკულოზით დაზარალებულ პირთათვის და მათ მიერ არასამთავობო ორგანიზაციებისა და სათემო ჯგუფების შექმნა და ოპერირება. ამ უფლების განხორციელება არ უნდა იზღუდებოდეს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაზღვრულია კანონოთ და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში, არის ეროვნული

უსაფრთხოების და საჯარო წესრიგის ინტერესებში, საჭიროა არეულობისა და დანაშაულის თავიდან ასარიდებლად, ჯანმრთელობისა და მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი არ მოდის წინააღმდეგობაში შეიარაღებული ძალების ან სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებისადმი კანონიერი შეზღუდვების დაწესებასთან.

## მუხლი 21. **მონაწილეობის/ჩართულობის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს აქვს უფლება, პირდაპირ ან მათი ორგანიზაციის და თავისუფლად არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ცხოვრებაში.

აღნიშნული მოიცავს უფლებას, ადამიანებმა მონაწილეობა მიიღონ ტუბერკულოზთან, ტუბერკულოზის ჯანდაცვასთან და ტუბერკულოზის სამედიცინო კვლევებთან დაკავშირებული კანონების, პოლიტიკის, რეგულაციების, სახელმძღვანელო პრინციპების, ბიუჯეტის და პროგრამების შემუშავების, იმპლემენტაციის, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს, საერთაშირისო ორგანიზაციების, მკვიდრი ჯგუფებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების გონივრული ხელშეწყობით და მხარდაჭერით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური და არსებითი მონაწილეობა.

## მუხლი 22. **მართლმსაჯულებისა და სათანადო პროცესის უფლება**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს, რომელსაც ეკისრება ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, უფლება აქვს სამართლიან და საჯარო მოსმენაზე, არასაჭირო გაჭიანურების გარეშე, კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბულანის მიერ, რომელიც ჩამოყალიბებულია კანონზე დაფუძნებით. აღნიშნული უფლება ასევე მოიცავს ეფექტურ, დროულ სამართლებრივ რეაგირებას, როცა მათი უფლებაა დარღვეული.

აღნიშნული ასევე მოიცავს კანონის ან რეგულაციის შესაბამისად, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლების წინააღმდეგ საჩივრის დაწერის უფლებას და ამ საჩივრის სამართლიანი და სწრაფი განხილვის უფლებას. აღნიშნიული ასევე მოიცავს გასაჩივრების უფლებას მაღალ ინსტანციაში, თუ მომჩივანი პირი არ არის კმაყოფილი გადაწყვეტილების შედეგით. უფლება სევე მოიაზრებს გადაწყვეტილების და არგუმენტაციის წერილობით, იმ ენაზე მიღების უფლებას, რომელიც ესმის მის მიმღებს (მომჩივანს).

## მუხლი 23. **მეცნიერული პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლება (უფლება მეცნიერებაზე)**

ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა ადამიანს აქვს მეცნიერული პროგრესის შედგეებით სარგებლობიდ უფლება.

ეს ნიშნავს, რომ ტუბერკულოზით დაზარალებულ ყველა პირს უნდა ჰქონდეს წვდომა მეცნიერული პროგრესის შედეგებზე, დისკრიმინაციის გარეშე, მკვიდრი ხალხების ბუნებრივი რესურსებისა და ინდივიდუალური და კოლექტიური ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემითა და დაცვით, მიუხედავად იმისა, ეს შედეგები ხელშეუხებელია, როგორც ცოდნა და ინფორმაცია თუ ხელშესახები, როგორც ტექნოლოგია ტუბერკულოზის პრევენციისთვის, დიაგნოზირებისთვის ან მკურნალობისთვის. აღნიშნული ასევე მოიცავს სამეცნიერო პორცესში მონაწილეობის უფლებას, კვლევითი დღის წესრიგის ჩამოყალიბებით დაწყებული, კლინიკურ კვლევებში მონაწილეობით დასრულებული.

უფლება მეცნიერებაზე მოითხოვს სახელმწიფოებისგან, რომ შეინახონ, განავითარონ და გაავრცელონ მეცნიერება და მისი შედეგები. აღნიშნული ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა უნდა: შექმნან სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო, რომელიც შესაძლებელს ხდის მეცნიერულ კვლევებს და განახოციელონ მასში ინვესტიცია; უზრუნველყონ მეცნიერებისა და მისი პროგრამების ფართო ხელმისაწვდომობა შედეგების გასაჯაროვებით, ახალი ინტერვენციების შეფასებისთვის რეგულაციის სისტემების შექმნით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებისა და პოლიტიკების სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებით; უზრუნველყონ, მეცნიერული პროგრესისა და მისი შედეგების შენახვა მომავალი თაობებისთვის.

## თავი 3. ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

### მუხლი 24. **სახელმწიფოს ვალდებულებები საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების სამართლით**

საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების სამართლის თანახმად, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, პატივი სცენ და აღასრულონ ტუბერკულოზით დაზარალებული ადამიანის უფლებები, მათ შორის, ამ დეკლარაციით დაცული უფლებები.

I. **პატივისცემის ვალდებულება:** სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, თავი შეიკაონ ტუბერკულოზით დაზარალებულ ადამიანთა მიერ მათი უფლებით სარგებლობლობაში ჩარევისგან;
II. **დაცვის ვალდებულება:** სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ღონისძებები, რათა მოახდინონ მესამე პირების, (არასახელმწიფო აქტორების), კერძო ჯანდაცვის სერვისის გამცემების, კერძო ჯანმრთელობის სადაზღვეო კომპანიების, ფარმაცევტული და დიაგნოსტირების კომპანიების და სხვების მხრიდან ტუბერკულოზით დაზარალებულ ადამიანთა მიერ მათი უფლებებით სარგებლობაში ჩარევის პრევენცია;
III. **შესრულების ვალდებულება:** სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, რომ შეიმუშაონ საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ბიუჯეტური, წამახალისებელი და სხვა ზომები, რათა მათთვის შესაძლო რესურსების მაქსიმალურად შეძლონ ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებების სრული რეალიზაცია.

### მუხლი 25. **არასახელმწიფო აქტორების პასუხისმგებლობები საერთაშორისო და რეგიონული ადამიანის უფლებების სამართლით**

არასახელმწიფო აქტორებს, მათ შორის, ყველა სახის კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს, როგორებიცაა, კერძო ჯანდაცვის პროვაიდერები, კერძო ჯანმრთელობის სადაზღვეო კომპანიები, ფარმაცევტული და დიაგნოსტიკური კომპანიები და სხვა, აქვთ პასუხისმგებლობა, რომ პატივი სცენ ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებებს, მათ შორის, ამ დეკლარაციით დაცულ უფლებებს. ამ არასახელმწიფო აქტორებმა თავიდან უნდა აირიდონ ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებების დარღვევა და უნდა მოახდინონ რეაგირება ტუბერკულოზით დაზარალებულ იმ პირთა მიმართ ჩადენილ ულებადაღღვევეზე, ვისთანაც მათ მაქვთ ურთიერთობა.

დაიბეჭდა 2019 მაისში

დაუკავშირდით TBpeople:

facebook.com/tbpeople, twitter @realTBpeople,
info@tbpeople.org.uk

დაუკავშირდით პარტნიორობას შეაჩერე
ტუბერკულიოზი (Stop TB Partnership):

facebook.com/StopTBPartnership,
instagram.com/stoptb, twitter @StopTB,
www.stoptb.org, communications@stoptb.org

# ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებების დეკლარაცია

ტუბერკულოზით დაზარალებულ პირთა უფლებების დეკლარაციის შემუშავება შესაძლებელი გახდა მათ შორის ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის განვითარების სააგენტოს მეშვეობით (USAID)

Stop TB Partnership

თარგმანი განხორციელდა ქსელი TBpeople-ის მხარდაჭერით.

TBPEOPLE